საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6203/01
03/07/2020

6203-01-2-202007031927

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

მის: საქართველო, თბილისი 0112,

დ. აღმაშენებლის N150. მე-3 სართული

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 26 ივნისის N9642 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ღვანკითში, მდ. ჩოლაბურის ნაპირსამაგრ (ნაპირდაცვითი) სამუშაოებს და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიიდან მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და საკარმიდამო ნაკვეთებთან;
- არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე იქტიოფაუნაზე ზემოქმედების შესახებ.
- ნაპირსამაგრი ნაგებობის შესაფასებლად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია მდ. ჩოლაბურის წყლის მაქსიმალური ხარჯისა და კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმის შესახებ, გამოყენებული ფორმულების მითითებით, ასევე მოცემული უნდა იქნას გაანგარიშებული ჰიდრომეტრული ელემენტების პარამეტრები;
- წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ვადების შესახებ;
- წარმოდგენილ shape ფაილში არ არის დატანილი გაბიონის მეორე სექციის (14მ) კოორდინატები, აღნიშნული სექცია ასევე არ არის დატანილი გეგმაზე. კორექტირებას საჭიროებს სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები.
- აგრეთვე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ნაპირსამაგრ ნაგებობასთან მისასვლელი გზების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილი იქნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენა ზემოაღნიშნული მოთხოვნების/შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე